

ალანინამინოტრანსფერაზა (ALT)

ალანინამინოტრანსფერაზა წარმოადგენს ფერმენტს, რომელიც მონაწილეობს ამინომჟავების სინთეზში. ამ ფერმენტს დიდი რაოდენობით შეიცავს ღვიძლი. ღვიძლის დაზიანება იწვევს სისხლში ალანინამინოტრანსფერაზას მომატებას.

რატომ კეთდება ALT-ს ტესტი?

ტესტით დგინდება პაციენტს აქვს თუ არა ღვიძლის დაზიანება.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

სპეციალური მომზადება საჭირო არ არის. ანალიზის გასაკეთებლად საჭიროა ვენური სისხლი.

რას ნიშნავს მომატებული ალანინამინოტრანსფერაზა (ALT)?

ნორმაში ALT მერყეობს მამაკაცებში 3-41 U/I, ქალებში 3-31 U/I ფარგლებში.

ALT-ს ნორმის ცვალებადობა დამოკიდებულია პაციენტის ასაკსა და სქესზე.

მომატებული შედეგები ხშირად მიუთითებს ღვიძლის დაზიანებაზე, განსაკუთრებით თუ ღვიძლის სხვა ფუნქციური ტესტებიც იქნება მომატებული (მაგ: ასპარტატ ამინოტრანსფერაზა, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი). სისხლში ALT-ს მომატებას იწვევს შემდეგი პათოლოგიები:

- ღვიძლის ციროზი
- ჰეპატიტი
- ღვიძლის სისხლით მომარაგების შემცირება (იშემია)
- ჰემოქრომატოზი
- ჰეპატოტოქსიური წამლები
- ინფექციური მონონუკლეოზი
- პანკრეატიტი
- ღვიძლის სიმსივნე

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

ალანინ ტრანსამინაზა.